წერილის ნომერი: **18-01193123277**
თარიღი: **08/11/2019**
პინი: **6517**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური"), განიხილა თქვენი 2019 წლის 30 ოქტომბრის #60-01193032772 წერილი (AR1697512), რომლითაც მოქალაქე ზაზა ბასილაძე ითხოვს ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #19/17 (ს.კ. #01.14.05.006.120)(სსზ-1), შპს „EXINPRO" LTD შპს „ექსინპროს" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, II კლასის ოფისის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, იმისათვის, რომ სამსახურმა დააფიქსიროს პოზიცია მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, განმცხადებელმა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლის მე-3^1 მუხლის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" 26-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 27^4-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, დამატებით უნდა წარმოადგინოს მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა.

მოგახსენებთ, რომ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა უნდა მოიცავდეს:

- მწვანე ნარგავების შესწავლისა და დასკვნის გაცემის თარიღს, ადგილსა (მისამართი, საკადასტრო კოდი) და საფუძველს;
- ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობასა და შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობას;
- კვლევის ჩატარების მეთოდს;
- ინფორმაციას მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის დიამეტრისა (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების თაობაზე;
- მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველ ფოტომასალას;
- დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევის ამსახველ დოკუმენტს და დასაბუთებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული მწვანე ნარგავი გამოჯანმრთელებას;
- ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაციას მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე;

ზემოაღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

